

4
1963

№ 13 თბილისი ივლისი 1953

საბჭო

ქართული
ბიბლიოთეკა

გამოცემის 80-41 ფილი, ფასი 20 კპ.



ვალენტინა ტერეშკოვა

ციურო დაო, ციდან დაბრუნდი,
ფეიქარს დახვდით დროების ქარით,
მუვიდობას აქსოვ დედამიწაზე,
ქვეყნად ყველაზე ცნობილი ქალი.



ВОСТОК-5

ВОСТОК-6

СССР

მუვიდობა

ადამიანი რომ ინიციატივას გამოიჩინოს და არა მარტო წამოაყენებს რაციონალიზატორულ წინადადებას, არამედ თვითვე განახორციელებს და, ისიც წარმატებით, ამას აბა რა ჯობია, ბეჩა! ხარჯებსაც თვითონ რომ იკისრებს — ესეც ხომ დიდი შედეგია.

მთელ რიგ მოწყობილობებს თითქოს მიწიდან რომ ამოაძვრენს, ამასაც ხომ დიდი ოსტატობა სჭირდება!

დიხს, სჭირდება, მაგრამ ადამიანი თუ გულით მოინდომებს და თავისივე ყაიდის ადამიანებიც დახმარების ხელს უანგაროდ, თავიანთი გვარის დაუსახელებლად გაუწვდიან, მაშინ გულიც ნამდვილად გულობს და ქადაც ორივე ხელით იჭმევა.

ეს როგორ შეიძლება, სად გავიწვინა ჩაი ბათუმში და მზადდეს, თბილისს გაიგზავნოს, იქ ახარისხ-დახარისხდეს, აიწონ-დაიწონოს და მერე ისევ ბათუმში გამოიგზავნოს! ცოცხალი არ არის ტრანსპორტი? ნუთუ ბათუმში სასწრაფო არ იშოვება? ნუთუ ბათუმელებს თვალი არ გვიჭრის? ნუთუ 50 გრამი ჩაის შეფუთვის ვერ ვახერხებთ? ვაი სირცხვილო და თავის მოჭრა, სად გამოეცოთ თავი, სად? — ასეთი პატრიოტული ფიქრები უტრიალებდა თავში შაუმიანის ქ. № 4-ში მცხოვრებ მარია ვიორგის ასულ სოკოლოვას და ეძებდა გამოსავალს.

„ეძიებდე და პოეზიები“ — ეს თურმე სოკოლოვას მისამართით უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, აკი ეძია კიდევ, დიდხანს ეძია და, ბოლოს, მიავნო. აივრა სანუკვარი საქმენელი და აიხდინა საწყადელი.

— რა არის საქმე, რომ ჩაი ადგილზევე, აქვე, ბათუმში, ზღვის პირად გადავწონო? — დასვა



კითხვა მარიამ და თვითვე გასცა პასუხი. — უპირველესად, ჩაი.
— სად არის ჩაი?
— ფაბრიკებში.
— მერე როგორ ვიგდო ხელში?
— უნდა ავაცოცებინო დობილებსა და ძმაბეჭებს.
— ავაცოცებინა.
— კიდევ რაა საქმე?
— საპრესი მოწყობილობა.
— ავაცოცებინა.
— ავაცოცებინა ჩაის შესახვევი ტყვიის ქაღალდი, ავაცოცებინა იარაღები და თვითონაც შეცოცდა თავის ოთახში, აწონიდა ორმოცდაათ გრამს, გაახვევდა ქაღალდში, დაპრესავდა ხელოვნური სარჩისით და შემოაკრავდა იარაღებს: „ქართული ჩაი“. „შმაღლეხი ხარისხი“ და „ქართული“ (ცხადია, „პირველი ხარისხი“) და ბოლოს „ექსტრა“.

ერთი ხარისხის ჩაი იყო აცოცებული, მაგრამ იფუთებოდა სხვადასხვა ხარისხებად: ქართული ჩაიდ, ქართულად, ექსტრად. გარედან სხვადასხვა

იყო ყველა, შიგნიდან ერთი იყო ყველა, თვალისთვის ნაირფეროვნება იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ შინაგანი ერთფეროვნება და გარეგნული მაღალხარისხიანი მრავალფეროვნება არმოსახვევების მოხვედრის პერსპექტივად იშლებოდა და იმედებად ეფინებოდა მარიას და მის თანამოსაქმეთა გულს.

— შეფუთული კი შეფუთუე, მაგრამ სად გავა-

სალო?
— მაღაზიებში. ცნობილი ქალი ვარ, ყველას ვჭირდები. № 37 მაღაზიაში სულ ჩემებია, № 17-ში ენვერ ფართენაძეს ვიყავი, № 47-ში მაშელ ლორთქიფანიძეს, № 12-ში — გურამ შალივაშვილს, № 4-ში — ამროსი ვადაჭკორიას, № 33-ში — სამუელ ლომინაძეს. თავაკცები ისინი არიან და მათი თანამშრომლები სად წამივლენ. შევიტან მათთან საქონელს, თვითვე დააწყოზე და თვითვე გაყვიდიან.

თქვა მარიამ ესე და აკეთა მარიამ ესა. მუშაობდა მარიას ქარხანა და სადღებოდა მარიას ბხელითმოცული ქარხნის ნაწარმი დღისით — მუშისით, ყველას დასანახავად და მარიას გულგასახარად. 10.000-ზე მეტი ჩაის შეკრულა ჩაბარა მარიამ მაღაზიებს ერთის მოსმით.

არ დაჯერდა მარია მიღწეულს. ჩაიზე არაყიც კარგია და არა მარტო კარგი, აუცილებელიცააო, გაიფიქრა ჯერ, მერე თქვა ხმაშაღლა და მერე განახორციელა.

დაიხმარა ვინმე-ვინმეები, ქობულეთელი გენრი გოგავა და მსგავსი მისნი, მოზიდა და მოზიდა სპირტი, ზოგი აქედან, ზოგი იქიდან და შეუდგა საქმიანობას. წყალი, მადლობა ღმერთს, მუქთად მოჩუხჩუხებს ბათუმში. გააჩავებდა ლიტრ სპირტს ორნახევარ ლიტრ წყალში, ჩაასხამდა ხუთ ნახევარლიტრისაში, დაუცობდა თავს, დალუქავდა და მერე თაბაშირისაგან გაკეთებული ბეჭდით დაბეჭდავდა და ურიგებდა მაღაზიებს.

ამან ახალი შნო და ლაზათი შესძინა მარიას ქარხანას, სიხარული შეიტანა მასში, მრავალფეროვანი და უფრო სარფიანი გახდა. გაიგოს მაღაზიები მარიას ნახელავი ყალბი არყით და გახშირდა ქიფი და დროისტარება.

კეთილი კაცია მინისტრი კონსტანტინე კეთილად, კეთილი ადამიანებია მისი მოადგილე მემელ წინწკილაძე, განყოფილების უფროსი მიხეილ ბეჟანიძე და საქ. სსრ მილიციის სამმართველოს წარმომადგენელი შოთა მხეიძე. დიხს, კეთილი ადამიანებია ისინი და ამიტომაც გულკეთილად უხსნიან ახლა მარიას: „კარგია ქარხანა რომ გახსენი, „კიდევ უკეთესი“, პროდუქციას უხვად რომ უშვებდი, „მეტად სასახელო“ — ასე ფართოდ რომ გაშალე სავაჭრო ქსელი, „სასიქადლო“ ქალი ხარ, რასაც შენ მოინდომებ, ყველაფერი გამოგევა ხელიდან, ამიტომაც დროა და მზადაც ვართ, დავაფასოთ შენი ღვაწლი და ამაგი, მაგრამ კიდევ ერთ საქმეში უნდა დაგვეხმარო, გავაგებინე ვინ გიწყოდა ხელს, ვინ გეხმარებოდა, ვინ აცოცებდა ჩაის და საიდან, ვინ ავცოცა იარაღები და საიდან, ვინ გამარაგებდა სპირტით, ვინ გისაღებდა ჩაის და არაყს, გვითხარი იმ თავმდაბალი ადამიანების გვარი და სახელი, რათა დაფასდეს მათი ღვაწლიც, რათა თანამედროვეებმა დაფნის გვირგვინით შეამკონ მათი ღვაწლმოსილი შუბლით.

მარია კი ხან რას მიეძება და ხან რას, გამოძიებელს მ. შენგელიას ხან ერთ ყალბ გვარს უსახელებს, ხან მეორეს, მაგრამ შიგადაშიგ მამხილებელ საბუთებითა და ნივთბეჭდებით ჩიხში მომწყვდეული ნამდვილ გვარებსაც ასახელებს.

ფარდა ნაწილობრივად ახდლი. გამოცდილი ხელები მას ბოლომდე ახდინა და ამით თავმდაბლობის ნიღაბს ჩამოხდინა, ნამდვილ სახელებს შეარქმევინა მარიას ქარხნის უსახელო ბურჯებსა და მოამაგეთ.

ისე კი, უნივერსალი ქალია მარია და თანამედროვეებმაც სიცოცხლეშივე უნდა აუგონ ძეგლი. არ იმსახურებს თუ!..

ნ. ნ. ზ. ფორჩხიძის



— ორი ქოთან ვიყიდე, ვაი, ვაი!

სადაც არის

ნახ. გ. ლომიძისა

ბიზნესული
გინორთქვა



— გაიგე, ტასო, გაიგე?.. გაფრინდით ისევ კოსმოსში.. ციურ ძმებს ახალი ძმა შეემატათ... ვალერი ბიკოვსკი!.. რაჯარია?.. — ამპარტავნულად მახარა სამსახურიდან დაბრუნებულმა ქმარმა.

— კარგია... ნამეტანი კარგია...
— შენ, რაო, არ გინახია ამ კაცის გმირობა?! — აენტო გერასიმე და გაბრაზებულმა თვალები დამიბრიალა.

— მაგი რამ გათქმევინა... როგორ არ მიხარია... დაილოცოს დედის კალთა, ასეთი ვაჟკაცის გაზრდისათვის, მაგრამ... ცოდვა გამელოვენებული ჯობიაო... რა დაგიფიცო და, გული მწყდებო... ამდენ დედეში, ერთმა მაინც როგორ ვერ გაზარდა საკოსმონავტო ქალი.

— ჰმ!.. შეხედეთ ერთი ამას!.. — გულიანად გაეცინა გერასიმეს, — სხვა არაფერს ინატრებდი?.. კოსმოსში რა გინდათ ქალებს. იარეთ აგერ მიწაზე, წინ იყურეთ, ფეხი არაფერს წამოკრათ.

— თორემ მიწიერ საქმეებში მამაკაცებზე ნაკლები გმირობა ჩაუდენიათ დედაკაცებს!..

— იცოცხლე, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარ-კამეჩს აჯობებს, მაგრამ... ნუ გეწყინება, ჩემო ტასო, და... კოსმოსში ფრენა მაინც არ არის თქვენი საქმე. ძნელია, დიდი ამბავია... ნამეტანი კარგი საქმეა, კი, მაგრამ სუსტნი ხართ, ნაზები, ვერ გაუძლებთ... არ არის მაგი სათქვენო საქმე, არა!..

— მერე, ასეთი ნაზები თუ ვართ და სუსტი არსებანი, ხელით რატომ არ გვატარებთ სამოთხის ფერიებივით?.. თუ ოჯახური საქმეებით რომ დაგვტვირთეთ, ზოგიერთებს ჰგონია, ამის მეტი არაფერი შეგვიძლია?..

— იცი რას გეტყვი?.. ზედმეტ ლაპარაკს არ ჰქონდეს ადგილი და საერთოდ... ერთი სიტყვით...

— რაო, დაგება ენა?.. ჰოდა, აბა მაცალე მე შენ...
მერე იმან მითხრა, მეც ვუთხარი... მერე მე ვუთხარი, იმანაც მითხრა და ისე წავიჩხუბეთ, რომ მთელი ორი დღე, პარასკევიდან მოყოლებული კვირამდე, აღარც გაგვიხედავს ერთმანეთისაკენ.

კვირა დილით გერასიმე უხმოდ გავიდა სახლიდან. შუადღეს გადაცილებული იყო, შინ რომ დაბრუნდა, უშველებელი თაიგული გამომიწოდა და სახეგაბრწყინებულმა ყურებამდე დააფრინა პირი:

— იცოდი, თუ გულმა გიგრძნო, ჰა?.. აფერუმ, ქალო, აფერუმ!.. ყოჩაღ, კარგია, გამსაცვიფრებელია... ნამდვილად გადასარეგია!..

— ტყუილად დაიშაქრე ენა... ქათინაურებითა და თაიგულით ვერ შემარეგებინებ შენ თავს.

— ტასიკო, დაგენაცვლე... კაი, ახლა... გაფრინდა, ნატვრა აგისრულდა... ვალენტინა გაფრინდა...

— ვინ გაფრინდა, ადამიანო?.. სად გაფრინდა?.. რას ამბობ, გადირიე, გერასიმე?!

— კოსმოსში გაფრინდა ვალენტინა ტერეშკოვა, იაროსლაველი ქალიშვილი... აგერ, დღეს, 16 ივნისს, 1963 წელს...

— ვინ თქვა, გერასიმე?.. თუ, ხუმრობ?...

— ქვეყანა ფეხზე დგას, არ გაგიგია განა?! ჩართე რადიო... მისი ჭირიმე, მისი... ო, რა კვირა გათენდა!.. მამ, ქალი... კოსმონავტი!.. დედა, რა მიხარია... დაილოცოს მისი გამჩენი.. არ მოვისვენე ერთბაშად..

— „ლეკვი ლომისა, სწორიაო“, ხომ გაგიგია?.. ჰოდა, აბა როგორ!.. ასეა, კი!.. არა, თუ გესმის, რა ხდება ახლა კოსმოსში, ტასიკო?.. სერავს ორი საბჭოთა ხომალდი უსაზღვრო სივრცეს კოსმოსში და ციური და-ძმა მიფრინავს, დასტრიალებს დედამიწას...

— შენ კი ამბობდი... — თავი გამოვიდე, — აბა, რა გეგონა!.. კაცი თუ ფრინავს, ქალიც კი ფრინავს... ახლა მაინც ხომ ნაკლებს იბაჭიბუქებ, უსაო და ჩვენა ვართ, რაც ვართო...

— ნამეტანი ძნელი საქმეა, ვერ წარმომედგინა სწორედ... აფერუმ, ქალო, აფერუმ!..

— ძნელი რომ არის, კიდევ იმიტომ გვეამაყება მათი გმირობა... გაიხაროს ორივემ, ჩვენი სამშობლოს დიდებისათვის!.. სულ კარგად ყოფნა და დღეგრძელობა კოსმოსის გმირებს!..

ნანა კანდელაკი

— ღმერთო, მიშველე შენს კოლეგას, მშვიდობის მომხრეები ქალი და კაცი შემომესივნენ კოსმოსში!

ქარაგმული ნაკვესები

- ვალენტინა ტერეშკოვას ჰკითხეს: რამდენი ძმა გყავსო და — მიწიერი ერთი და ციური ხუთიო.
- კოსმონავტი ქალიშვილით მოხიბლული ქაბუკი ამბობდა: ვალენტინამ დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევათ სიყვარულით მიმიზიდაო.
- ვალენტინამ ინატრა: ნეტავ დედამიწა ისე ერთიანი იყოს, როგორც ის კოსმოსიდან მოჩანსო.
- ასტრონომმა ჰკითხა ვალენტინას: ჩვენი პლანეტიდან დანახული სამყარო რითი განსხვავდება კოსმოსიდან დანახულისგანო და — კოსმოსიდან სამყარო ერთი ვარსკვლავით მეტიაო.
- მიწაზე დაბრუნებული ვალენტინა ქებით ცაში აიყვანესო.

გ. შამერაზაშვილი

მინიატურები

საკუთარი თვალით

მმართველმა მოადგილე დაიბარა:
— თქვენ არ მითხარით, ახალი დანადგარი კარგად მუშაობს, საკუთარი თვალით ვნახეო?
— მე განყოფილების გამგემ მითხრა, საკუთარი თვალით ვნახეო და ვენდე. — თქვა მოადგილემ. — აბა, გკითხოთ!
— მე უფროსმა ინჟინერმა მითხრა, საკუთარი თვალით ვნახეო და ვენდე. — თქვა განყოფილების გამგემ.
— მე უფროსმა ტექნიკოსმა მითხრა, საკუთარი თვალით ვნახეო და ვენდე. — თქვა უფროსმა ინჟინერმა.
— მე საკუთარი თვალით ვნახე, ვილაყ იყო ქარხნიდან მოსული და

ლაპარაკობდა. — თქვა უფროსმა ტექნიკოსმა.

ჰოდა, სწორედ ახლა მაცნობეს, დანადგარი ჯერ არ აგვიშუშავებიაო, — თქვა მმართველმა. — ამდენ „საკუთარ“ თვალს როგორ არ უნდა ვენდო!

სწრაფი პასხენება

დირექტორმა კაბინეტში შემოსული კაცი ცივად შეათვალა.

— ვერ მიცანი? — უთხრა მოსულმა. — ერთ დროს ამხანაგები ვიყავით!

— რა ვნებავთ?
— თქვენი წარმოების შესამოწმებლად მოვედი.

— მეგობარო, როგორ გამეხარდა შენი ნახვა!

ა. ბასილია



ვახაჟიი უარაჟი

— რა დაემართა ამ ბატკანს, ასე რამ შეაშინა?!
— პირველად გნახათ, ბატონო, და, ალბათ, რვეიზორი ჰგონიხართ!

პირტი ლაჟი საწყობის გაგებისა

მიფრატუნობდა ლეო შარაზე და ხან ერთ ღობეს ეუბნებოდა გამარჯვებას და ხან მეორეს. მიდიოდა და უკვირდა: აქამდე ფართო, ახლა რამ დაევიწროვა ევრე.

როგორც იყო მიაღწია ალაზნისაკენ მიმავალ გზას, გადასჭრა და თავიანთ ორღობეს გაუყვა. საკმაოდ დანათოდა ძირს გართხმულ სიბნელეს ხშირვარსკვლავიანი ცა და საგნებს კარგა გასარჩევს ხდიდა. შუალამეს სიმყუდროვე და სიწყნარე შემოეტანა სოფელში. მარტოოდენ ავი სიზმრისაგან დაფეთებული ძაღლი თუ წაიყვებოდა აქა-იქ. მერე ისევ დააწყებოდა გარეშემოს სიჩუმის ანგელოზი და წყნარად, სულ წყნარად დაიკრულა და გასაკა სადმე ბაღრის თავში მდგარი კაკლის კენჭეროდა.

როგორც იყო, გაეტია ლეო ორიღობეში. მიაგნო თავის ჭიშკარას და ეზოში შევიდა. ჯერ ათი-ოდე ნაბიჯიც არა ჰქონდა გაედილი, რომ წინ ერთი ბოძი გადაუდგა. ბოძმა იქიდან შემოუტია და ლეომ აქედანა ჰქრა თავი, ბაღრის მტყორცნელივით დატრიალდა საწყობის გამგე. მაგრამ იგაქცა-ცა და ფეხზე გამაგრდა. მერე ერთი დაუსამსარ-თულიანა და ზედ ლაზათიანი წიხლიც დაუმბატა. ფეხზე ბოძმა იქიდან აუკრა ფეხი და ყოველი მსაჯი სამჯერ მაინც მოასწრებდა ათის დათვლას. სანამ ლეო მიწას ზურგს ააცილებდა და კვლავ პოზიციაში დადგებოდა. დარეტყინებული ვაკივით ბანცალობდა და ავი თვალთა ზომავდა მოპირისპირეს. იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა, რომ არა ღირდა მეორეჯერ ხელის გასვრა. გვერდი აუქცია და აივინსკენ წავიდა.

შუა გზაზე მაინც გულმა არ მოუთმინა, შედგა, მობრუნდა, ერთივ წაუღრინა ეზოში უშნოდ აწოწილ თვადამხმელს და ისევ სახლისკენ გასწვია რვიანების წვირით.

— ნახევარი-ი-ი-ი... ცხოვრების გზა-ა-ა... გავ-ლე-ე-ე-ე...

ნახევარი-ი-ი-ი... ისევ გასა-ა-ავლელია-აა... აივანს მიაღდა და სიმღერაც შეწყვიტა, რაღვან ახლა კიბის საფეხურებმა დაიწყეს თამაში: ხან ერთი გამოუსხლტებოდა ფეხქვეშაიდან და ხან მეორე. ეე, ამათ თუ ხელი არა სტაცა, იგრე ტყუილია. რამ გადაარია მაინც ამ სალამოს ეს კარმიდამო? ლეო დაოთხდა და ბობღვით აუყვა საფეხურებს. როგორც კი ასცდა კიბის თავს, წამოვდა და სიმღერა გააგრძელა.

კართან მიაღწია და ხელი ჰქრა, რათა ერთბაშად შეეღო, ან შეეღუნა, მაგრამ კარი საკმაოდ მაგარი აღმოჩნდა და თანაც საიმედოდ ჩაკეტილი. მიაწვა, მაგრამ იქიდან კარი მოაწვა და უკან გადმოავლო.

დაბრახუნა, არავინ გამოხმარებია. მაშინ მიაღდა და მუშტი დაუშინა.

— არ გესმის, რომ მოვედო? არ გესმის...

— დედა, დედა! მეშინია, დედა! — დაიკანავლა შიგნიდან ბავშვმა და წმინდა ელია იძულებული გახდა, კარზე სეტყვა შეეჩერებინა.

შიგნიდან საწოლის ოღნავ გასაგონი ჰრავუნნი

მოისმა და ფლოსტების ფლასუნი აიყოლია. მერე მოკლედ გაიტკაცუნა რაღაცამ და ფანჯრებმა სინათლის ჩქერი შეაშხიფეს ღამეს.

დაიჩხაკუნა რაზამ და კვლავ აფლასუნდნენ ფოსტლები იატაკზე. მერე ისევ გაიჭრაჭუნა საწოლმა და ისევ სიმყუდროვემ დაისადგურა.

ლეო სახლში შევიდა და კარი ბრახუნით მიქცა.

— მეშინია, დედა! — გაისმა კვლავ მეორე ოთახიდან.

— დაიძინე, მამაშენი მობრძანდა.

ლეო ზურგით მიხურულ კარს მიაწვა და ღია ფანჯარასთან მდგარი საწოლი მოათვალიერა. ცოლს მოესწრო საბანში შეძრომა და ქმრისკენ ზურგის შექცევა.

— უმძრახათა ხარ? — იკითხა ლეომ და საწოლისაკენ წაბრახუნდა.

— ცოლმა ხმა არ გასცა.

— უმძრახათა ხარ? — თავზე დაადგა ლეო.

— ცოლს არაფრით გამოუმყდავებია რაიმე სურვილი ლაპარაკისა.

— არა, მე შენ გეუბნები... უმძრახათა ხარ ჩემთან?

— ცოლმა მხოლოდ შიშველი მკლავი გადმოყო და წელზე საბანი გაისწორა.

— ლეომ დასტაცა ხელი საბანს და გვერდზე ისროლა.

— ცოლი, ალბათ, მოელოდა ამას, მოასწრო და საბნის კიდე დაიჭირა. მერე ნელ-ნელა გადმოზრუნდა და ქმარს მრისხანე თვალი შეანათა.

— საწყობის გამგემ ისევე აცადა გადახდა, მაგრამ ამ ცდას დასახლისი მომზადებული დახვდა.

— თუშხ ჯიგარო!... შენ გენაცვალოს ელეთმელეთი... მთელი ხმელეთი... განჯა-ყარაბალი... ერან-თურანი... — და მთვრალმა ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

მერანგსა და შარვალზე ორიოდე დიდი აიწყვიტა, საათს სამაჯურის თასმა აავლიჯა. ქამარი მაგიდის სარკეს ესროლა და ბოლოს შავი ტრუსის ამარა მიაღდა ცოლის საწოლს.

— აი შენი, ლოგინი, — მბრძანებლურად გაიშვირა ქალმა ხელი და მეორე საწოლზე უჩვენა. საწყობის გამგე გაიღრია და მარჯვენა ხელი ღონდლოდ ააყოლა სიმღერას.

— საფლავშიაა-ა-ა-ა... აქა, იქა-ა-ა-ა...

შენთან ერთა-ად... შენთან ევერთ-ა-ად...

მერე ძირს დაიხედა და ახლა გაახსენდა, რომ ფეხსაცმლის გახდა დაიწყებოდა. რის ვაი-ვაგლახით გაიძრო ისინი, კარებისკენ ისროლა და საბნის კიდე ასწვია შიგ შესაძრომა.

— ცოლმა თხელი საბანი მაგრად ჩაბლუჯა და სახე უარესად მოიქუშა.

— შენ შენი საწოლი გაქვს და იქ დაედე.

— ვაა! — გაოცდა ლეო. — დედაშენის გა-

მომცხვარმა... — მაშ ახლა შენ ჩემ ცოლთან...

— აღარც დამაწვენ, აი!

— მაგრამ თანამეცხვარემ საბანი საიმედოდ ამოიქუშკა.

ქორი და გულგული

ორბმა — ბატკნების შარიათ ცოლად შეირთო ქორი დაიწყეს ტკბილი ცხოვრება, შვილიც გაუჩნდათ ორი.

პაწია ფრთოსნებისათვის მშობლები სულსა ლევდნენ, წიწილის ხორცი რა არი... ნიავს არ აკარებდნენ.

და ერთხელ, შუალამისას მოჰყვა ცოლ-ქმარი ბჭობას: შვილები დაუფლებოდნენ სიმღერას, ტკბილ გალობას.

მათ მიაბარეს ბავშვები ბულბულს — მუსიკოსს დიადს, ლექსივით იზეპირებდნენ: დო-რე-მი-ფა-სო-ლიას.

შვილებმა ბევრჯერ შესტირეს ჯიუტზე ჯიუტ მშობლებს: ნუ გვაძლებთო მუსიკით ამ ლამაზ წუთისმოთვლას.

გავიდა ხანი, მიფრინდა ლალი ბულბულიც ქორთან და ჰკადრა:

— არ დავიშურე, თუკი რამ ცოდნა მქონდა, რომ შეესწავლათ გალობა, ჩემსავით შვილებს თქვენსას, მაგრამ არ გირჩევთ შემდგომში თესლის ყინულზე თესვას.

თქვენს შვილებს თითქმის სულ არ აქვთ მუსიკალური სმენა! — მასწავლებლის სიტყვებზე მშობლებს დაეტყო წყენა: — გალობას რად ვერ სწავლობენ!

თუ სძლევენ დედა-ენას?! მომწყდი არ გამიჭირდება, სხვა მუსიკოსს ნახვა! მასწავლებელი დამცინავ ღიმილით ქუჩას გაჰყვა.

დრო მიდიოდა და ქორი, ძაღლივით არ ზოგავდა, სახლში მუსიკის სხვადასხვა მასწავლებელიც ჰყავდა.

მაგრამ შვილების სიმღერა მთოქმე-ტირილსა ჰგავდა.

მ. ისაბაძე

მაშინ გაბრაზდა კაცი და ძალით სცადა ადგილის დაკავება. ქალის ხელი მძიმედ გამოძვრა საბნის ქვეშედან და საწოლის ქვეშ ფრთხილად შეეცურა...

გვიან გაეღვიძა დღით საწყობის გამგეს ძლივს გაახილა ერთმანეთზე მიწებებული ქუთუთები და იქაურობა მოათვალიერა. არავინ ჰქაჩებდა ოთახში. მხოლოდ მაგიდის საათი ვალაჯულიყო კარადის თავზე და შავი ისრები თავისი გაკვირვებული ცოლის წარბებზე იფიქნა ხევით.

— აუჰ! თერთმეტი დაწყებულა.

წამოვდა ლეო და ახლა იგრძნო, რომ თავი სტივოდა.

დასწყევლოს ეშმაკმა, გეგონება დამწყები მსმელი იყოს, რა დროს მისი თავის ტყვილია? ლეონოში რაღა დამბალი, როგორც გეგონა დიდი ხნის ნახვები საქალამზე. დანა რომ წაჰკრათ, მისი ტანთან სისხლის მაგიერ რქაწითელი მოიღებს ჩქაფანს... მაშ ეს რა ამბავია?

საწყობის გამგემ შუბლზე ხელი მოისვა და იქვე გაუშეშდა: საქორჩესთან ვეგება კობი აჯდა. მიიხედა-მოიხედა, ძირს გადაიხარა, იატაკიდან წუხანდელი სარკის ნამტვრევი აიღო. გაასწორა და შიგ ჩაიხედა.

კოპს ქვევით მუქ-ლურჯად „ბასანოკის“ ქუსლი ეტყობოდა შუბლზე.

ლადო გრალაშვილი



შესვენების წინ ბუღალტერი ჭადრაკში შემება, სულ მალე გამაცამტვერა, მერე „ქიშიო“ დამტვერა და მახეში გაბმულივით აფფართხალდა. კარებში განყოფილების უფროსი კლიმენტი გამოჩნდა, მე შევჩი ხელში.

— რა არის ეს?
— ჭადრაკია!
— რა შენი საქმეა ჭადრაკი? შენ მონაგარიშე ხარ, თუ დადიანი?

— ტალია! — იხუმრა ბუღალტერმა.

— დადიანთან ვერაფერს მოვა! — აგვიხსნა უფროსმა და დანიშნა:

— ჩვენი კოლექტივი წინ მიდის უკანმოუხედავად, ეს კი ჭადრაკობიას ეწვევა. რა აკლია მას, მაგიდა? სკამი? დის-ციპლი-ნა!

— სკამს აკლია ცალი ფეხი!
— ვთქვი მე.

— არც უნდა მეტი, ხომ დგას? — გამომიჭირა მოადგილემ.

— მაგიდის უჯრები არ იკეტება!

— შენ, ჯობია, ენა მოკეტო! — შემომიჭია ბუღალტერმა.

— რას გავს ეს „შკაფი“!? — ავტყდი მე. — მაგის გაღება-დაკეტვისას შიში მათავეებს!

— რა აქვს ამ ანგელოზივით „შკაფს“ შენი დასაძრახი, შე გლახავ? — თქვა კლიმენტიმ და კარები მოსწია. მოწვევა აგრე არ უნდაო, „ხრრრ-ოვო“ „შკაფმა“ და ჩვენ საყვარელ უფროსთან ერთად თვალსა და ხელს შუა გაგვიჭრა.

— არიქა! — ვეძგერეთ და ქაღალდების კორიანტელი დავაყენეთ.

— ფრთხილად, ფრთხილად!
— კენესოდა მთავარი ბუღალტერი. — საბუთები არ დამინიხით!

4. — ვაცალოთ, თვითონ გამოძვრება! — თქვა მოადგილემ. ვჭვი შეგვეპარა:

— ვთქვით და შეუბერა სული ქაღალდებს, რას შვრები მერე?

— მაგისთანებიდან გამომძვრალა? ოსტატია გამოძრომამში! — ამოიხსრა მოადგილემ.

როგორც იქნა, მივაგენით და ცოცხალ-მკვდარი გამოვავთრეთ. მობრუნდა.

— ყელს გვჭრიდი, ბიჭო? — მიაბღავლა მოადგილემ.

ჩემი საქმე წასული იყო, მაგრამ კლიმენტიმ დიდსულოვნება გამოიჩინა და ერთბაშად როდი გამაფუჭა.

...ამხანაგური სასამართლო კბილებს ილესავდა. დარბაზში ტევა არ იყო.

— რაღაც განგებამ აგვაცილა უზომო მწუსარება, — ამბობდა კლიმენტის მოადგილე. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი საყვარელი კლიმენტი გრიგორიჩი წვეს გამეშებული და ჩვენ დაგჭირით.

— მე მოვითხოვ ამ ავაზაკის, — ჩემზე მოუთითა, — კლიმ გრიგორიჩმა, — ამ კაცის მკვლელის დახვერტას.

— არ დამლუპოთ! — ვიყვირე მე და ადგილიდან ვისკუპე.

...ამ გარეწარს, ამ გამოუსწორებელ ხულიგანს, მიყსაჯოს 2 წლით პატიმრობა. გადაწყვეტილება ძალაში შედის ბალანსის ჩაბარების დღიდან! — გამოაცხადა სასამართლომ.

— თქვენ გიმეველათ ღმერთმა! — გაეხარდა მთავარ ბუღალტერს.

მე დღესაც ცოცხალი ვარ და მიხარია! მიხარია, რომ გმუშაობ ამ ძვირფას კოლექტივში, რომელმაც სიცოცხლე მარუქა.

აბ. მუხურაძე

ლიტერატურული ჟურნალის რედაქციამ გამოაცხადა კონკურსის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე.

გადაწყვიტე დავეწრო მოთხოვნა. და, აი, წვერე ფანქრით ხელში ვზივარ მაგიდასთან...

ვფიქრობ, მაგრამ თავში არაფერი მოდის. უფრო სწორად — ხელს მიმლიან. ოთახში ყურისწამლები ზუზუნნი დგას. ქალები ჭორაობენ, თამბაქოს ბოლში გახვეული კაცები გულმინდელ თამაშს არჩევენ. „დინამომ“ დიდი ანგარიშით მოიგო და გახარებული გულმემატივრები დაწვრილებით აღწერენ მატჩის პერიპეტიებს. შესვენება დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ მუშაობის განახლებაზე არავინ ფიქრობს. თემომ და თორნიკემ ახალი პარტიაც კი წამოიწყეს ჭადრაკში. რა იქნება, რომ ამათზე დავეწრო?.. დავეწრო, თუ რა ფუჭად იკარგება ძვირფასი წუთები; მხატვრული ხერხებით დავიყვანო დირექციამდე, რატომ არ სრულდება სახელმწიფო გეგმა, რატომ ირღვევა პროექტების გამოშვების ვადები და რა მიზეზით ჭინურდება მშენებლობა. მაგრამ, როგორ დავეწრო?.. ფაქტების ჩამოთვლით მოთხრობას ვერ შექმნი; საჭიროა სიუჟეტი. სიუჟეტი კი არ ჩანს. გადიან წამები, წუთები, საათები!.. მაგრამ ხელისაჭიდი ვერაფერი მომიხაზავს. ზუზუნნი არ ცხრება და ყურადღებაც, ძალაუნებურად, მოსაუბრეებისაკენ გამიბრის.


დღის ბოლოს, როცა უკვე ვემზადებოდი სახლში წასასვლელად, მოვიდა ჯგუფის უფროსი, დახედა ჩემს ნახაზს და აღშფოთდა:

— გულმინდელს აქეთ ერთი წერტილიც კი არ მივიმატებიათ ნახაზისათვის. რას გავს ეს! ასე თუ გაგრძელდა, იძულებული ვიქნები ყველაფერი დირექტორს მოვახსენო.

საკონკურსო მინიატურა მე დავეწერე მეორე დღეს. ჯგუფის უფროსისაგან მალულად.

3. შარაშიძე

უბეჭდო ხუმრობები
ლ. მართაშვილის



ჩერაქციისაგან
ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია აცხადებს წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან საუკრადღებოდ, რომ გიორგი ამბაკოს ძე ჯინჭარაძე (ყოფილი ლიტერატურული მუშაკი) ორი წლის წინათ მოიხსნა სამუშაოდან და არავითარი საერთო არ აქვს რედაქციასთან.

სარედაქციო კოლეგია: 5. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, 6. მალაზონია, 8. ქარჩავა, ო. კელიძე. | აბ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгы“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 6/VII-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1420, უფ. 08270 ტირაჟი 40.000



შემსხვევითი როდია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ამბობს: ახლა „ამერიკის შეერთებული შტატების ქოლგის ქვეშ ყოფნა“ სრულებითაც არ ნიშნავს უშიშროების უზრუნველყოფას. ამიტომ, ამბობს დე გოლი, საჭიროა, რომ საფრანგეთს ჰქონდეს თავისი ქოლგა. ხოლო, საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, საიმედო „ქოლგა“ უნდა გახდეს საკუთარი ატომური იარაღი. მაგრამ „ატომური ქოლგის“ შექმნა ადვილი როდია, შეიძლება, როგორც იტყვიან, უშარვლოდაც დარჩე და უქოლგოდაც! ეს „ატომური ქოლგა“ მოითხოვს უამრავ ძალღებს, უამრავ სახსრებს.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან საკ. კა ცენტრალური კომიტეტის იენისის ბლენუმზე).



„ატომური ქოლგის“ კეზნაში.

ნახ. გ. ლომიძისა